# არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტი

## სტრატეგიული პრიორიტეტები

1. არაგადამდები დაავადებებით განპირობებული ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სიკვდილიანობის შემცირება;
2. გარემოს საზიანო ზემოქმედებისა და ქცევითი რისკ-ფაქტორების შეფასება და კორექცია მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსის გაუმჯობესების მიზნით.

## ძირითადი მიმართულებები

1. არაგადამდები დაავადებები და ტრავმატიზმი;
2. დედათა და ბავშვთა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა;
3. გარემოს ჯანმრთელობა;
4. ჯანმრთელობის ხელშეწყობა;
5. თამბაქოს კონტროლი;
6. კვლევები.










## არაგადამდები დაავადებები და ტრავმატიზმი

- ✓ არაგადამდები დაავადებების, ტრავმატიზმისა და რისკ-ფაქტორების სიტუაციური ანალიზი, ინდიკატორების შემუშავება, ავადობის, ინვალიდობის და სიკვდილიანობის ტვირთის ტენდენციების განსაზღვრა;
- ✓ არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ხელშეწყობა. აგდ პრევენციისა და კონტროლის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შემუშავება, დანერგვა;
- ✓ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ინტერვენციული ეპიდემიოლოგიის სწავლების პროგრამასთან (MediPIET) მიერთება;
- ✓ რეგისტრების განვითარება.

## დედათა და ბავშვთა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა

- ✓ დედათა და ბავშვთა, მოზარდთა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, და რისკ-ფაქტორების სიტუაციური ანალიზი; ინდიკატორების შეგროვება და ინტერპრეტირება, ინფორმაციის კომუნიკაცია;
- ✓ რეპროდუქციული ჯანმრთელობის სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავება, დანერგვა;
- ✓ რეპროდუქციული ასაკის ქალთა და 5 წლამდე ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევების ეპიდკვლევა;
- ✓ ორსულთა და ახალგაზრდა დედებისათვის საგანმანათლებლო პორტალის შექმნა.

## გარემოს ჯანმრთელობა

- ✓ გარემოს ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის, შეფასების, მართვის ღონისძიებათა შემუშავება; ინდიკატორების შეგროვება და ინტერპრეტირება, ინფორმაციის კომუნიკაცია;
- ✓ რისკის შეფასების მექანიზმების შემუშავება-განხორციელება; კანონპროექტების განილვა, ნორმების, ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება, ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ✓ გარემოს და ჯანმრთელობის ეროვნულ სამოქმედო გეგმისა (NEHAP-2) და გარემოს ჯანმრთელობის ინდიკატორების შემუშავება;
- ✓ საერთაშორისო პროექტების იმპლემენტაცია: „გარემოს და ჯანმრთელობის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ (EU/Twinning), „სამედიცინო ნარჩენების მართვის გაუმჯობესება საქართველოში“ (EU/TAIEX), „საკანონმდებლო და სამოქმედო ჩარჩოს შემუშავება საშიშ ქიმიურ ნივთიერებებზე ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარების მიზნით საქართველოში“ (WHO), თბური ტალღების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება (Red Cross, „Climate forum East”);
- ✓ სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების რეგისტრაცია და რეესტრის წარმოება.

## ჯანმრთელობის ხელშეწყობა

- ✓ ჯანმრთელობის ხელშეწყობის ქვეყნის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; მოსახლეობის განათლების და ცნობიერების ამაღლების ინტერვენციების საკომუნიკაციო სტრატეგიების შემუსავება; სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- ✓ ჯანმრთელობის ქცევითი რისკების დეტერმინანტების ეპიდზედამხედველობის სისტემის განვითარება;
- ✓ ჯანმრთელობის მსოფლიო დღეების/კვირეულების და ღონისძიებების/აქციების დაგეგმა და ორგანიზება.

### ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა “საზოგადოებრივი მოძრაობა ჯანმრთელი საქართველოსთვის“

- ✓ თამბაქო
- ✓ ალკოჰოლი
- ✓ ფიზიკური აქტივობა
- ✓ ჯანსაღი კვება
- ✓ მენტალური ჯანმრთელობა
- ✓ C ჰეპატიტი

### „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამა

- ✓ უანგარო, რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის კამპანია.

დროულად ჩაერთე C ჰეპატიტის უფასო მკურნალობის პროგრამაში!

მე ვირჩევ ჯანსაღი ცხოვრების წესს!



საქართველო თამბაქოს გარეშე



იCოდე რისკები! დაიCავი შენი უფლებები!

მხარი დაუჭირე თამბაქოსაგან 100%-ით თავისუფალ გარემოს!



იკვებე სწორად!

იარე ფეხით!

საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ ერთხელ მაინც უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა C ჰეპატიტზე!

მოერიდე ჭარბი ალკოჰოლის მიღებას!



ნუ დაემონები თამბაქოს! იყავი თავისუფალი!

ი C ოდე მეტი C ჰეპატიტზე!



C ჰეპატიტი სრულიად განკურნებდი დაავადებაა!

გახდი დონორი, გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე!



მეტი იმოძრავე!

გადაეC ი C ოდნა და არა C ჰეპატიტი!



ნუ დაემონები თამბაქოს! იყავი თავისუფალი!

ნუ მისცემ ნარკოტიკს უფლებას აკონტროლოს შენი ცხოვრება!



გახდი ფიზიკურად აქტიური!

იCოდე შენი სტატუსი!

დაიCავი თავი C ჰეპატიტისაგან!



ნუ დააყოვნებ გამოკვლევას, C ჰეპატიტზე სკრინინგი უფასოა!

ნუ მისცემ ნარკოტიკს უფლებას აკონტროლოს შენი ცხოვრება!



არ დაჯდე საჭესთან ნასვამი!

აცერი და დაიცავი!

## თამბაქოს კონტროლის ჯგუფი

- ✓ თამბაქოს კონტროლის სამთავრობო კომისია; თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია და 5 წლიანი სამოქმედო გეგმა; კანონპროექტები;
- ✓ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- ✓ საერთაშორისო თანამშრომლობა:

  „ბლუმბერგ ფილანტროპი“; ფილტვის მსოფლიო ფონდისა და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირი

  - ხელშემწყობი გარემოს შექმნა თამბაქოს კონტროლის ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვისათვის საქართველოში (2015-2016);
  - თამბაქოზე მოთხოვნის შემცირების მიზნით შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების დამტკიცების და აღსრულების მხარდაჭერა საქართველოში (2016-2017);
  - თამბაქოსგან 100%-ით თავისუფალი პოლიტიკის გატარება სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში (2011-2014).

  WHO; FCTC

  - 2014-2015 – პირველადი ჯანდაცვის ექიმების მომზადება თამბაქოსთვის თავის დანებების ხანმოკლე კონსულტაციების მიწოდებაში;
  - 2016 – თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის ხელშეწყობა; თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის მობილური აპლიკაციის დიზაინის და შემცველობის შემუშავება; თამბაქოს მოხმარების პრევენცია სკოლებში.

## კვლევები

- ✓ არაგადამდები დაავადებების და რისკ-ფაქტორების, ტრავმატიზმის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და გარემოს ჯანმრთელობის სფეროში ჩასატარებელი კვლევების საჭიროების განსაზღვრა, ზედამხედველობა, განხორციელება, დაკვეთა დაანგარიშგების უზრუნველყოფა; კვლევების რეგისტრირება და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში განხორციელებულიკვლევების ერთიანი რეესტრის წარმოება;
- ✓ არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა STEPS მეთოდოლოგიით (WHO; CDC/Atlanta);
- ✓ რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევები 1999-2000; 2005; 2010 (UNFPA; AIHA; UNICEF; CDC/Atlanta);
- ✓ მოზარდებში თამბაქოს მოხმარების გლობალური კვლევა 2013; 2015 (WHO; CDC/Atlanta);
- ✓ ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა (European School Survey Project on Alcohol and Other Drugs – ESPAD) 2008; 2015 (ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკოდამოკიდებულების ევროპის მონიტორინგის ცენტრი (EMCDDA; ESPAD);
- ✓ რისკ-ფაქტორთა შესახებ ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შემსწავლელი კვლევა 2015-2016 (ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა);
- ✓ C ჰეპატიტის კვლევა 2015 (CDC/Atlanta, CDC-FETP, NCDC).